F1375 N 9188

ყველაზე მოდური და თანამედროვე, ქართულენოვანი მუსიკალური დაიჯესტი

# FAN ფანკლუბი club

№1
1997 ივლისი

ფასი 50 თეთრი

ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის მუსიკალური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები ვარსკვლავთა ცხოვრებიდან



## "კარლოსი ძალიან ეჭვიანია"

– განაცხადა მადონამ თავის ბავშვის მამაზე – კარლოს ლეონზე, რომელიც 29 წლისაა და ვარსკვლავის პირადი მწვრთნელია.– "მე მიყვარს ის, რადგანაც ვაიგნორებ ჟურნალებს, თავს ვიკავებ სურათებზე გამოხატული მიმზიდველი მამაკაცების მიმართ კომენტარებისა და კომპლიმენტებისაგან". კარლოს მოყვარული და გამაჯანსაღებელი კარლოსს უწოდებენ ხშირის დოსიეს მადონასათვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დაუფხიზლებაზე ოცნებობდა მადონასა და ლეონის გაცნობა შემთხვევითად მოხდა: მანჰეტენის ცენტრალურ პარკში მადონა დარბოდა, ხოლო კარლოსი ველოსიპედით სეირნობდა. უცრად იგი გაჩერდა მადონასთან და უთხრა "HI" როგორც მადონა ამბობს, ეს ნამდვილი სიყვარული. დაუჯერეთ მას.





## რეკლამას უდიდესი ძალა აქვს

რეკლამას უდიდესი ძალა აქვს

ახალგაზრდა დებიუტანტი ჯაზ მენი, ჯგუფ BABILON ZOO-სთან ერთად, ვარსკვლავი გახდა რეკორდულად მცირე დროში. ეს ყველაფერი LEVIS-ის ჯინსების სარეკლამო რგოლის წყალობით მოხდეს, რომელშიც გამოყენებული იყო მისი სიმღერა "SPACE MAN".

მოხდა სასწაული ბრიტანელმა რეჟისორმა დენი ბოილმა მიაღწია იმას, რაც ვერ შეძლეს ბრეგ არავმა და ლარი კლარკმაც კი. მისმა სკანდალურმა ფილმმა „TRAINSPOTTING" დედის, მამისა და ღმერთის გმობისათვის, იესო ქრისტეს მაგივრობაც კი გაუწია ახალგაზრდა თაობას. ყველაზე მოდური გართობა შოტლანდელი ნარკომანებისათვის მიმავალ მატარებლებზე თვალყურის დევნებაა. ფილმის საუნდტრეკი მელომანებში ისტერიკას იწვევს. ჩვენ კი ფრთხილად ვიყოთ მატარებლით მგზავრობისას: ვინ იცის, იქნებ ჩვენც გვითვალთვალებენ და გვაკვირდებიან ნარკომანები.

## ადვილია თუ არა იყო ახალგაზრდა –

– დაახლოებით ასე შეიძლება შარშან გახმაურებული ფილმის "KIDS" – თემის განსაზღვრა, სექსი, ნარკოტიკები, ძალადობა, ქალიშვილობის დაკარგვა – ამერიკელი თინეიჯერების ცხოვრებაა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. ხლოა სევინი გახდა "KIDS"-ის მთავარი აღმოჩენა. იგი არ აპირებდა მსახიობობას. ფილმის სცენარი დაწერა მისმა მეგობარმა. ხლოა, ფაქტიურად, თავის თავს ასახიერებს და ისე ბუნებრივად და დამაჯერებლად უჭირავს ეკრანზე თავი, რომ მან მაშინვე მიიღო რამდენიმე მოწვევა სხვა რეჟისორებისაგან. სევინი მოკლებულია ყოველგვარ ვარსკვლავურ ბრწყინვალებას, იგი ისეთივეა, როგორც ყველა გოგო. მისი ნახვისას გეუფლება ისეთი გრძნობა, თითქოს უკვე სადღაც გყავს ნანახი, ამავე დროს, ხვდები, რომ მასში არის რაღაც უჩინარი, უცნაური, გაუგებარი. სწორედ ეს არის ახალი თაობის შეგრძნება, რომლის პირველი ვარსკვლავიც არის – ხლოა სევინი.

ბითლზის ყოფილი წევრები პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი, რინგო სტარი და ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ონო, აპირებენ ბითლზზე ახალი წიგნის გამოქვეყნებას. ამ ლეგენდარული სუპერჯგუფის დაშლის მერე მის ყოფილ წევრებს შორის წინააღმდეგობები უფრო სჭარბობდა მიუხედავად იმისა რომ მათ რამდენიმე ერთობლივ პროექტში მიიღეს მონაწილეობა. საყოველთაოდ ცნობილი იყო მათი (ჯონ ლენონის გარდა) დამოკიდებულება იოკო ონოსადმი, რომელთაც საუკეთესოს ნამდვილად ვერ უწოდებ. ამჟამად მათი თანამშრომლობა უფრო ხანგრძლივი და მრავლისმომცველი უნდა იყოს ამიტომაც ყველას მოუწევს ანტიპატიებისა და ძველი წყენის დროებით დავიწყება. რაც შეეხება წიგნს, მის დასრულებას ავტორები წელსვე აპირებენ.



ალისია სილვერსთოუნმა ითამაშა BATGIRL-ის როლი ფილმში – "BATMAN AND ROBIN", რომელიც ამ ზაფხულს გამოვა ეკრანებზე და დარწმუნებულები იყავით, რომ ალისიას უდიდესი პოპულარობა ელის. ეს პირველი როლი არ არის მომავალი ვარსკვლავისათვის, მან გადაღება 15 წლიდან დაიწყო (AEROSMITH-ის კლიპები, ფილმი "CLUELESS" და სხვა), 20 წლისათვის კი უკვე ბევრს მიაღწია. მაგრამ პირად ცხოვრებაში ალისია სილვერსთოუნს არ უმართლებს: "მე მომწონს ის მამაკაცები, რომლებსაც არ მოვწონვარ. საერთოდ კი, სექსს მირჩევნია შოკოლადი, ოღონდაც, მხოლოდ ბელგიური".



ლამაზმანი შერი, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა ლონდონში და თუ იგი მიემგზავრებოდა ამერიკაში, ხალხით სავსე ქუჩებში არ ჩნდებოდა ამის წყალობით. მას სულ გადაავიწყდა, რომ ამერიკაში არსებობს ისეთი შეშლილი რამ, როგორიცაა სკანდალური ქრონიკა. ნიუ-იორკში ერთ-ერთი მორიგი ჩამოსვლისას შერი ეწვია ბროდვეის ერთ თეატრს სპექტაკლის შემდეგ იგი აპირებდა თავის ლიმუზინში ჩაჯდომას და წასვლას, მაგრამ ჩაეკეტა მანქანის კარი. სანამ შერი გამწარებული აწვალებდა კარის სახელურს, ქუჩის ყველა მხრიდან მოვარდნენ ფოტორეპორტიორები და მთელი მონდომებით დაუწყეს მომღერალსა და მსახიობს სურათების გადაღება. შერი ცდილობდა გაეღიმა და მიეღო სხვადასხვა პოზები, მაგრამ შემდეგ გამოუტყდა მეგობრებს, რომ ძლიერ შეეშინდა.

მოამზადა ანა ბოქოლიშვილმა

-ჯერ კიდევ დედა მეუბნებოდა: როდესაც არ იცი, რისთვის იცოცხლო, შეეცადე იპოვო ის, რისთვისაც ღირს სიკვდილი, – ამბობდა 2 PAC - შეუპოვარი, წარმატებული რეპერი, ბევრისშემძლე კინომსახიობი, 25 წლის ასაკში უკვე მულტიმილიონერი, რომელმაც, ფაქტიურად, ნულიდან დაიწყო.

**თუფაქ ამარუ შაქური (TUPAC AMARU SHAKUR) იყო ამერიკის „წყეული“ თაობის კუმირი. 1996 წლის 13 სექტემბერს, რეპერთა შორის არსებული გაამწვავებული წინააღმდეგობებისას, იგი ჩაცხრილა უცნობმა. ნიშნავს თუ არა ეს მკვლელობა, რომ HIP - HOP-ს აღარ დარჩა მომავლის იმედი?**

2PAC- ის მშობლები იყვნენ

# 2PAC SHAKUR

## რეპის ახალი ღმერთი – ცხოვრებისა და სიკვდილის მოკლე ქრონიკა

პოლიტიკური აქტივისტები – აფენი შაქური და ბილი გარლანდი. შაქური საკმაოდ ნაადრევად განვითარებული ბავშვი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი დაიბადა 1971 წლის 16 ივნისს, აფენი შაქურის ციხიდან გამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, სადაც იგი მოხვდა შეთქმულებაში მონაწილეობის, პოლიციის განყოფილებებისა და ნიუ-იორკის უნივერსალური მაღაზიების აფეთქების მცდელობის გამო. სახელი – თუფაქ ამარუ სწორედ დედამ დაარქვა შვილს (თუფაქ ამარუ ნიშნავს – "ბრწყინვალე, კაშკაშა გველი", აფენიმ ვაჟს ეს სახელი ინკას მეთაურის პატივსაცემად დაარქვა; შაქური კი არაბულად ნიშნავს – "ღმერთის მადლიერი").



2PAC- ის ოჯახური ცხოვრება არასტაბილურად ვითარდებოდა. მის, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაზე და აღზრდაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ქუჩის ცრუ იდეალებმა და საყოველთაო გულგრილობამ. ცხოვრების სწორედ ასეთმა პირობებმა გამოიწვია 2PAC- ის დაკავშირება განგსტერულ დაჯგუფებებთან. 20 წლის ასაკში იგი უკვე 8-ჯერ იყო დაპატიმრებული. მას ბრალად ედებოდა სექსუალური შეურაცხყოფა. გარდა ამისა, იგი გადიოდა 6 წლის ბიჭუნას მკვლელობის საქმეშიც, რომელიც 2PAC- ის განგსტერებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ერთ-ერთი შეიარაღებული შეტაკების დროს შემთხვევით იქნა მოკლული. ამის გამო შაქურს საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუხდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთი პატიმრობის დროს 2PAC- მა ციხეში ცოლად შეირთო თავისი მეგობარი გოგონა – ქეიშა მორისი, მაგრამ ეს ქორწინება მალე გაუქმდა.

80-იანი წლების ბოლოსათვის 2PAC- შეუერთდა ედი ჰამფრის (EDDIE HUMPHREY) და გრეგორი "SHOCK-G " იაქობს (GRECORI JACOBS) და ოკლენდის (OAK LAND) სხვა რეპერებს "DIGITAL UNDERGROUND"-ის (D.U.) შესაქმნელად. ამ რეპ-ჯგუფში მან კარიერა დაიწყო როგორც მოცეკვავემ, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღო D.U.- ის ალბომების ჩაწერაში. მათი მუსიკა ეფუძნებოდა PARLIAMENT-FUNKADELIC- სტილს.

1990 წელს შედგა ჯგუფის დებიუტი. მათ გამოუშვეს ალბომი "SEX PACKETS ", რომელშიც HIP- HOP- ის მემკვიდრეობა და HUMPTY DANCE- ისა და DOOWUTCHYALIKE- ის გავლენა იგრძნობოდა.

1991 წელს (გადაჯგუფების შემდეგ) D.U.- მა გამოუშვა მეორე ალბომი – "SONS OF THE P", ხოლო შემდეგ – " THE BODY-HAT SYNDROME " (ყველა ამ ალბომის ჩაწერა მოხდა TOMMY BOY RECORDS- ში).

**„ჯერ კიდევ დედა მეუბნებოდა: როდესაც არ იცი, რისთვის იცოცხლო, შეეცადე იპოვო ის, რისთვისაც ღირს სიკვდილი.**

1992 წელსა 2PAC გამოვიდა D.U.- დან და ჩაწერა სოლო დებიუტი "2PAC- ALYPSE NOW ", რომელიც განგსტარეპის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამის შემდეგ აღიარეს შაქური ვარსკვლავად. ამავე წელს იგი გადაიღეს ფილმში განგსტერების შესახებ "JUICE ". ამ ფილმს გარკვეული წარმატება ხვდა წილად ჰოლივუდში.

1993 წელს 2PAC- მა გამოუშვა ალბომი "STRICTLY 4 MY N.I.G.G.A.Z.", რომლის მეშვეობითაც იგი საუკეთესო პოპ-მუსიკოსთა სიაში აღმოჩნდა. ამ პერიოდში 2PAC პოლიციაშიც მოხვდა პოლიციის ოფიცერზე აგრესიული თავდასხმის გამო. ამავე წელს იგი გადაიღეს სინგლეტონის ფილმში "POETIC JUSTICE " ("პოეტური მართლმსაჯულება"), სადაც იგი მონაწილეობდა ჯანეტ ჯექსონთან ერთად და განასახიერა ჯანეტის სიყვარულის ობიექტი.

შაქური, როგორც მსახიობი, საკმაოდ მომხიბვლელი და ნიჭიერი იყო. მან მონაწილეობა მიიღო ხუთ სახასიათო ფილმში.

1994 წლის ნოემბერში 2PAC 5 ტყვიით იქნა დაჭრილი, როდესაც გაძარცვეს და წაართვეს 40 000 დოლარის ღირებულების საიუველირო ნაწარმი. იგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს, რის შემდეგაც კვლავ დაუბრუნდა მუსიკას და ჩაწერა ერთ-ერთი საუკეთესო ალბომი. "ME AGAINST THE WORLD" (მე მსოფლიოს წინააღმდეგ"), სადაც მღერის: "უმჯობესი იქნებოდა, მე მათ მოვეკალი როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი". განხიბლვა, გულის გატეხა – ეს იყო ძირითადი მის ცხოვრებაში. ამ ალბომს მოჰყვა "ALL EYEZ ON ME". გაიყიდა "ME AGAINST THE WORLD"-ის 2 მილიონი, ხოლო "ALL EYEZ ON ME "-ის 3 მილიონზე მეტი კოპიო.

**თუფაქ ამარუ ნიშნავს – „ბრწყინვალე, კაშკაშა გველს“, შაქური კი არაბულად – "ღმერთის მადლიერს"**

თუფაქ შაქური მღეროდა დასავლეთის, დახვრეტის, დახრჩობის, სიკვდილისწინა სიტყვისა და ავადმყოფური სიჯიუტითა და შეუპოვრობით შეპყრობილი საშინელი სასამართლოების შესახებ, რომლებიც მოგვიწოდებენ დახმარებისაკენ. მის, როგორც რეპერის, სიმღერებში ხშირად ჟღერდა ასახვას გეტოს (ებრაული კვარტალი) ცხოვრების უკიდურესი სილატაკე, უიმედობა და იქ გაბატონებული ძალადობა.

ბოლო რგოლი 2PAC- ის ცხოვრებაში იყო საოცარი კლიპი "I AIN'T MAD AT CHA "-სთვის. ამ რგოლში 2PAC- ს ესვრიან, როდესაც იგი გამოდის შეხვედრიდან. სიცოცხლე ტოვებს მას სასწრაფოს მანქანაში. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე ცხოვრებაში მას ესალმებიან მაილს დევისი, ლუი არმსტრონგი და ჯიმი ჰენდრიქსი, რომლებიც წყნარად უკრავენ მათი ზეციური სახლის ორკესტრში. ისინი უფრო მშვიდად გამოიყურებიან, ვიდრე ჩვენ, ცოცხლებს, შეგვეძლო წარმოგვედგინა. ეს კლიპი ეძღვნება ზანგების რევოლუციური პოლიტიკის ორ დაღუპულ მებრძოლს – ჯერონიმო ფრათსა და მუთულა შაქურს.



კარიერის აღმავლობის პერიოდში შეწყდა 2PAC- ის ამ უჩვეულო მუსიკოსის – სიცოცხლე.

1996 წლის 13 სექტემბერს – იმ საბედისწერო ღამეს, რინგზე მაიკ ტაისონის მატჩის ნახვის შემდეგ 2PAC იმყოფებოდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, DEATH ROW RECORD-ის (2PAC- ის, SNOOP DOGGY DOG- ის, DR.DRE- სა და სხვათა მშობლიური სახლი) პრეზიდენტის – მარიონ "სიუჯ" ნაითის (MARION "SUGE " KNIGHT) საზოგადოებაში. მათთან ერთად იყვნენ თანმხლები პირები. მატჩის შემდეგ ყველა ერთად მანქანებით წავიდა ნაითის კლუბში – "662" ("თეთრ" ამერიკას უფრო მოეწონებოდა, რომ ნაითის კლუბს რქმეოდა "666"). ნაითი მართავდა შავი ფერის BMW 750- ს. მის გვერდით, წინა სავარძელში, შაქური იჯდა. BMW- ს უკან მოდიოდა 10 მანქანა, რომლებშიც ისხდნენ DEATH ROW- ის დაცვის წევრები. შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: ბოლო მოდელის თეთრი კადილაკი, რომელშიც ოთხი მგზავრი იჯდა, წინ გადაუდგა BMW- ს. მანქანიდან ორი შეიარაღებული კაცი გადმოვიდა და მძიმე კალიბრიანი პისტოლეტიდან 13 ტყვია ესროლეს ნაითსა და შაქურს. ნაითი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. შემდგომში მან უარი თქვა ჩვენების მიცემაზე (მკვლელების აღწერაზე). 2PAC- ს მოხვდა 4 ტყვია და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა ლასვეგასის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში. მისი კრემაცია მოხდა ბრუკლინში. იგი მხოლოდ 25 წლის იყო.

2PAC- ის სიკვდილის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს (ზოგი ადანაშაულებს ნაითს, რომელიც შეკრული იყო ლოს-ანჯელესის მთავარი ქუჩის ბანდა – THE BLOODS - თან, ზოგი თვლის, რომ შაქურის მკვლელობით გააფრთხილეს ნაითი; არის ვერსია, რომ მკვლელობა დაკავშირებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს რეპერთა შორის არსებულ მტრობასთან და ა.შ.), მაგრამ დანამდვილებით მკვლელობის მიზეზი არავინ

დასასრული მეშვიდე გვ.

# metal NEWS



ლარს ულრიხმა ლოს-ანჟელესის ერთ-ერთი სტუდია იქირავა და შეუდგა იმ სიმღერების მიქშირებას, რომლებიც არ შევიდა ალბომ "LOAD"-ში. ეს ტრეკები ალბომის სახით, რომელსაც ალბათ "RELOAD" დაერქმევა, შემოდგომაზე გამოვა. მანამდე კი, გამორიცხული არ არის, ჯგუფი დატოვოს ბასისტმა JASON NEWSTED-მა, რომელსაც, მისივე თქმით, მობეზრდა ამდენი ერთფეროვანი LOAD-RELOAD-ები.

გამოვიდა PARADISE LOST-ის ახალი ალბომი სახელწოდებით "ONE SECOND".

მერლინ მენსონი და ჯგუფი WASP დასხდნენ სტუდიაში WASP-ის ძველი ჰიტ "ANIMAL (FUCK LIKE A BEAST)"-ის ჩასაწერად. მენსონმა განაცხადა, რომ WASP-ი მისი საყვარელი ჯგუფია და მათი კოვერის გაკეთებაზე დიდი ხანია ოცნებობდა.



DREAM THEATER-ის ყოფილი წევრი KEVIN MOORE ამთავრებს თავისი ჯგუფის CHROMA KEY-ს პირველი ალბომის მიქშირებას. ჯგუფის წევრები MOORE-ს გარდა (კლავიშები) არიან დრამერი MARK ZANDER (EX FATES WARNING) გიტარისტი JASON ANDERSON და ბასისტი JOE VERA.

SUICIDAL TENDENCIES კვლავ შეიკრიბა. მასში დანამდვილებით იქნებიან ვოკალისტი MIKE MUIR და გიტარისტი MIKE CLARK. ჯგუფის დანარჩენი წევრები ჯერჯერობით უცნობია.



კანადურმა პროგრესივ-როკ ჯგუფმა RUSH ალბომით TEST FOR ECH0 (96) ოცდამეერთე ოქროს დისკი მოიპოვა ამერიკაში და KISS-თან ერთად მესამე ადგილზეა. პირველ ადგილზე ლიდერობს ROLLING STONES 36 ოქროს დისკით, მეორეზეა THE BEATLES 28 ოქროს დისკით.

JUDAS PRIEST-ის ახალი ალბომის, "JUGULATOR"-ის გამოშვება, რომელიც აპრილის ბოლოსათვის იყო დაგეგმილი, ჯერჯერობით შეჩერებულია. მუსიკოსების თქმით, ეს ალბომი სიმძიმით და მუსიკალურად "PAINKILLER"-ს გადააჭარბებს. ვოკალის პარტიებს ასრულებს TIM "RIPPER" OWENS, (EX-GAMMA RAY): "JUGULATOR"-ი მაღაზიებში (რა თქმა უნდა, უცხოეთში) ივლისის შუა რიცხვებში გამოჩნდება.

# W.A.S.P

## სექსუალური გარყვნილების ახალი შეტევა

W.A.S.P.-ის ახალი ალბომის გამოსვლამ საშუალება მოგვცა მოკლედ გავიხსენოთ ამ ჯგუფის წარსული და შემოქმედება. 80-იანი წლების ეს ერთ-ერთი პოპულარული ჯგუფი, 90-იანების პირველ ნახევარში პარალიზებული იყო, ხოლო წელს კი თითქოს მეორე სუნთქ-

W.A.S.P. ამერიკულ სცენაზე 83 წელს გამოჩნდა ლოს-ანჟელესის ღამის კლუბებსა და ბარებში. შემთხვევის გამო თუ ბედის წყალობით ჯგუფი ერთ-ერთი მუსიკალური კომპანიის პროდიუსერმა შეამჩნია და 84 წელს ქვეყანას მოევლინა ალბომი პრეტენზიული სახელით „I WONNA BE SOMEBODY", რომლის სატიტულო კომპოზიცია მაშინვე ჩარტების სათავეებში მოექცა. ჯგუფის მუსიკა ზუსტად პასუხობდა იმ პერიოდის გემოვნებას და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა WASP-ის წარმატებაში.

ჯგუფის თავდაპირველი შემადგენლობა იყო ბლეკი ლოულესი (ბასი/ვოკალი), კრის ჰოლმსი და რენდი პაიდერი (გიტარები) და ტონი რიჩარდსი (დრამერი). აბრევიატურა WASP რამდენიმენაირად იშიფრება: "თეთრი ანგლოსაქსი პროტესტანტი", "თეთრი ამერიკელი სექსუალური ხალხი", "ჩვენ ვართ სექსუალური გარყვნილები" და სხვა. თვით ჯგუფის წევრები ამის შესახებ კონკრეტულად არაფერს ამბობენ.



პირველივე ალბომმა მაშინვე მიიქცია ფართო აუდიტორიის ყურადღება და მოწონება დაიმსახურა, ხოლო კრიტიკოსების მძაფრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ისინი ყურს არ უგდებდნენ ენერგიული მუსიკის მელოდიურობას, შემსრულებელთა მაღალ პროფესიონალიზმს, იუმორისტულ ტექსტებს და თავიანთი უარყოფითი პოზიციის გასამართლებლად ჯგუფს არაორიგინალურობაში სდებდნენ ბრალს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მსმენელს ოდნავადაც არ აინტერესებდა კრიტიკის აზრი, WASP-ი მრავალი თინეიჯერის კუმირი გახდა, რასაც მოწმობს შემდეგი, 85 წლის ალბომის "THE LAST COMMAND"-ის უზარმაზარი წარმატება. ამ ალბომმა შესძლო კრიტიკოსების "შემორიგება" და ჯგუფი ევროპელ მსმენელს გააცნო.

ერთი წლის შემდეგ რენდი პაიდერმა დატოვა ჯგუფი. რიტმ-გიტარისტის ადგილი ბლეკ ლოულესმა დაიკავა, ხოლო ბასისტის ვაკანსია შეავსო მუსიკოსმა ჯგუფიდან KING KOBRA. აშავე წელს გამოვიდა WASP-ის მორიგი ალბომი და ჯგუფი გრანდიოზულ მსოფლიო ტურნეში გაემგზავრა, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. მსოფლიოს უზარმაზარი სტადიონები და მსმენელთა მრავალათასიანი არმია ხვდებოდა ყოველ ქალაქში WASP-ს. წარმატება MONSTERS OF ROCK ფესტივალზე ინგლისში...

WASP-ის კონცერტები ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური შოუა მეტალ სცენაზე, იგი KISS-ისა და კუპერის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. ორიგინალური კოსტუმები, ეფექტური დეკორაციები და მფრინავი თეფშები... ბიფშტექსებით.

89 წელში გამოსული ალბომი "HEADLESS CHILDREN" საუკეთესოა ჯგუფის ისტორიაში. ამ ალბომის სატიტულო კომპოზიცია რატომღაც ძალიან ჰგავს BLACK SABBATH-ის იმავე წელს გამოსული ალბომის სიმღერას "HEADLESS CROSS."

90 წელში ჯგუფი მასიურად დატოვეს მუსიკოსებმა და WASP-ის შემდგომი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. "ადრე იყო სექსი, სასმელი და როკენროლი, – ამბობს ბლეკი ლოულესი, – ახლა კი პორნოგრაფია, ნარკოტიკები და მადონა". ბლეკი დეპრესიაში ჩავარდა: შოუბიზნესის მკაცრი კანონები მის წარმოსახვაში ასე სასტიკი არ ჩანდა. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა არ შეწყვიტა არსებობა და 92 წელს გამოვიდა კონცეპტუალური ალბომი "CRIMSON IDOL", რომელიც მოგვითხრობს ერთი ამერიკელი თინეიჯერის ცხოვრებაზე, მის კონფლიქტურ ურთიერთობაზე საკუთარ ოჯახთან და მამასთან, ხოლო შემდეგ საზოგადოებასთან. ალბომის მთავარი პერსონაჟი ჯონათანი, რომლის ცხოვრების ძირითად ასპექტს არსებობისათვის ბრძოლა წარმოადგენს, თვით ლოულესის პროტოტიპია. მან, თავის მხრივ, ეს ალბომი საკუთარი მამის ხსოვნას მიუძღვნა.

"CRIMSON IDOL"-ში მუსიკა უცნაური და WASP-ისათვის რამდენადმე უჩვეულოა. ალბომში უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს დრამერ ფრენკ ბანალის ბრწყინვალე პარტიები, ბობ კულიკის შესანიშნავი სოლოები და, რა თქმა უნდა გენიალური როკ-ბალადები: "TO MY HEART" და "THE IDOL".

95 წელს ჯგუფმა მორიგი ნამუშევარი გამოუშვა: "STILL NOT BLACK ENJOUGHT", რომლის შემდეგ დაგეგმილი მსოფლიო ტურნეს დაწყება რამდენადმე შეაჩერა ბლეკის ტრავმამ. მან ხელი მოიტეხა კრივში ვარჯიშისას.

წელს ვასპში დაბრუნდა გიტარისტი კრის ჰოლმსი. დრამერ სტეტ ჰოულანდთან და ბასისტ მაიკ დუდასთან (EX VICIOUS DELIGHTS) ერთად ჩაწერეს WASP-ის ჯერჯერობით ბოლო ალბომი "KILL FUCK DIE". ამჟამად ჯგუფი მსოფლიო ტურნეში იმყოფება.

WASP-ის შემადგენლობა
BLACKIE LAWLESS GUIT/ VOCALS
CHRIS HOLMES GUIT.
STET HOWLAND DRUMS
MIKE DUDA BASS



### W.A.S.P.
### KILL-FUCK-DIE

ჯგუფისაგან ამგვარ ალბომს არავინ მოელოდა. მით უფრო დასაფასებელია მათი ასეთი გაბედული ექსპერიმენტი, რომელმაც ნამდვილად გაამართლა: ეს ნამუშევარი ინდასტრიალ-მეტალის სტილშია შესრულებული და პირველი მოსმენით ყველას, ვინც ვასპის შემოქმედებას იცნობს, შოკში აგდებს. მაგრამ მუსიკა აქ მაინც ძველი ვასპისაა, მხოლოდ თანამედროვე საუნდით. ბლეკი და მისი ამფსონები შესანიშნავად მოერგენ ახალ სტილს და ძველი ტრადიციების ახალ მუსიკასთან შეხამებით, რთული ორანჟირებებით, დინამიური რიტმ-სექციით (რომელიც ცოცხალი ბარაბნითაა ჩაწერილი და არა ულტრათანამედროვე რიტმ კომპიუტერებით) მუსიკალური ბომბი შექმნეს. განსაკუთრებით გამოირჩევა სატიტულო "KILL FUCK DIE", "TAKE THE ADDICTION", "MY TORTURED EYES" და "THE HORROR". მთელი მუსიკა ერთი ამოსუნთქვით ისმინება, ეს ალბომი მეტალის ყველა ფენმა უნდა მოისმინოს.

ჯგუფი, რომლის მუსიკაზეც შეიქმნა და გაიზარდა METALLICA, SLAYER, SODOM, BATHORY და სხვა ეს–მ–ტალი ჯგუფები. მოკ–მეტალ კულტი

# VENOM

> როგორც არ უნდა განვითარდეს ჰევი მეტალი, ის ვერაფერს შექმნის VENOM-ზე უკეთესს.
>
> ინგლისური როკ ენციკლოპედია, 1985

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ინგლისურ როკსცენაზე დიდი ცვლილებები მოხდა. ერთ-ერთი ჯგუფი, რომელმაც, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი გავლენა იქონია მძიმე მუსიკის შემდგომ განვითარებაზე იყო VENOM-ი. ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა ინგლისურ ქალაქ NEWCASTLE-ში; მისი თავდაპირველი შემადგენლობა ოთხი მუსიკოსით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მალე ჯგუფი დატოვა ბასისტმა/ვოკალისტმა და მისი ადგილი დაიკავა CRONOS-მა (რომელიც მანამდე რიტმ გიტარისტი იყო). VENOM-ში მის გარდა დარჩნენ გიტარისტი MANTAS-ი და დრამერი ABADDON. CRONOS-ი იმ პერიოდში მუშაობდა დამოუკიდებელ მუსიკალურ კომპანიაში NEAT RECORDS და თავის უფროსს გულს უწუხებდა თავისი ჯგუფით. შეფმა ბოლოსდაბოლოს რამოდენიმე დღით დაუთმო სტუდია ჯგუფს, უფრო იმისათვის, რომ ქრონოსი თავიდან მოეცილებინა და მოსვენება ენახა. ასე ჩაიწერა სინგლი "IN LEAGUE WITH SATAN / LIVE LIKE AN ANGEL". ეს დემო მოეწონა JEOFF BARTON-ს (ჟურნალ "SOUNDS"-ის თანამშრომელი, შემდგომში "KERRANG"-ის რედაქტორი) და მისი საშუალებით ჯგუფმა NEAT RECORDS-თან დადო ხელშეკრულება. ამავე დროს მანჩესტერულმა ჯგუფმა, რომელსაც ასევე VENOM-ი ერქვა, შეიცვალა თავისი სახელი (დაირქვა ROX); გზა ალმასისათვის თავისუფალი იყო.

81 წელს გამოვიდა პირველი ალბომი "WELCOME TO HELL", რომელმაც აქტიური სატანისტური იმიჯით, შავი მაგიითა და ხმაურიანი მუსიკით ფანების ვიწრო წრის გარეთ შოკი გამოიწვია. ეს მოსალოდნელიც იყო: მაშინდელი ინგლისური როკი WHITESNAKE-ისა და DIAMOND HEAD-ის ტიპის ჯგუფებით იყო წარმოდგენილი. ინგლისი მზად არ აღმოჩნდა ამგვარი მუსიკოსათვის. "ჩვენი მაშინდელი იმიჯი და ხმაურიანი მუსიკა ალბათ თვით ჩვენმა ქალაქმა ნიუქასლმა განაპირობა. ასეთ ინდუსტრიულ ქალაქში ვინმემ ყურადღება რომ მოგაქციოს, ხმამაღლა უნდა იყვირო" – ამბობს აბადონი. VENOM-მა ჩაატარა რამდენიმე კონცერტი პიროტექნიკითა და ეფექტური სახსცენო შოუთი მომდევნო ალბომი "BLACK METAL" კონტინენტურ ევროპაში, სადაც ვენომი უკვე ცნობილი ჯგუფი იყო, ჰიტი გახდა, ინგლისში კი ჯგუფს ერთეულები იცნობდნენ. ვენომი აგრძელებდა გამოსვლებს კლუბებსა და ბარებში და მისი თაყვანისმცემელთა რაოდენობა ნელ-ნელა იზრდებოდა. 83 წელს გამოვიდა ჯგუფის ახალი მინი-ალბომი და VENOM-ი გაემგზავრა შტატებში, სადაც ის ზაფხულში ნიუ-იორკში ROCK AND ROLL HEAVEN FESTIVAL-ზე გამოვიდა, რომლის შემდეგაც შტატების ოფიციალურმა სტრუქტურებმა კონფისკაცია გაუკეთეს ჯგუფის პიროტექნიკას. ვენომის



### DRAGON ATTACK
### A TRIBUTE TO QUEEN
### /ARCADE/

მუსიკალურ ბიზნესში ტრიბუტების ბუმია. ათასი დიდი თუ პატარა კომპანია ცდილობს ერთსადაიმავე მასალაზე ფულის გაკეთებას, მაგრამ ამჯერად მეტად ორიგინალურ რელიზთან გვაქვს საქმე. სხვადასხვა ჯგუფის მუსიკოსები გაერთიანდნენ და ჩაწერეს QUEEN-ის კომპოზიციები თავიანთთვის დამახასიათებელ სტილში. ჩაწერაში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი ცნობილი მუსიკოსები, როგორებიც არიან ROBIN MCAULEY, JEFF SCOTT SOTO, MARK BOALS, YNGWIE MALMSTEEN, JAMES LABRIE, GLENN HUGHES, JOHN PETRUCCI, LEMMY, BOB და BRUCE KULICK-ები, MARTY FRIEDMAN, TED NUGENT, JAKE E.LEE, SCOTT IAN და სხვები. მუსიკაც რა თქმა უნდა, მათი შესაფერისია. აქ მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ ალბომი არა მარტო ქუინის ფანებისთვისაა განკუთვნილი, არამედ ნებისმიერი როკ-მოყვარულისათვის.

### GRIP INS.
### NEMESIS
### /SLEAMHAMMER/



გრიპმა ახალ ალბომში საკუთარი მუსიკალური სტილი უფრო მკვეთრი შტრიხებით გამოყო. პირველივე კომპოზიცია "PATHETIC LIAR" მძიმე დრამსექციით და გიტარის რიფებით – თანამედროვე მეტალის ელიტარული მანერით იქცევს ყურადღებას. სწრაფი კომპოზიციების გარდა ("WAR BETWEEN ONE", "RUSTY NAIL") ალბომში გვხვდება ჯგუფისათვის აქამდე უჩვეულო, ატმოსფერული ჟღერადობის ტრეკებიც ("CODE OF SILENCE", "THE SUMMONING"), რომლებიც ნამუშევარს მრავალფეროვნებას აძლევს. ლომბარდო-ზორიხტას დუეტს ამჯერად უკვე სასიამოვნო აკომპანირებას უკეთებს ჩემბერსის ძალზე გაუმჯობესებული ვოკალი. რაც შეეხება ბასისტ ვიბრუკს, ის ალბომის ჩაწერის პროცესის ბოლოს ჯგუფიდან გააძევეს გარკვეული მიზეზების გამო. ვინ დაიკავებს მის ადგილს, ჯერჯერობით უცნობია.

ამ მართლაც ძალიან კარგი ალბომის ერთადერთი ნაკლი მისი მოკლე მეტრაჟია (38 წუთი), მაგრამ სამაგიეროდ ის თავისუფალია მოსაწყენად გაწელილი კომპოზიციებისაგან.

# KING DIAMOND

**თორმეტი წლის წინ, 85 წლის გაზაფხულზე დაიშალა ის ერთადერთი ჯგუფი, რომლითაც დანიას შეეძლო ეამაყა. MERCYFUL FATE ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ ჯგუფის დაშლა KING DIAMOND-ის გამოჩენას ნიშნავდა. მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!**



კინგ დაიმონდის იმიჯი 80-იანი წლების პირველი ნახევრიდანვე ჯგუფის სხვა წევრებს მისი ჩრდილიდან გამოსვლის არანაირ შანსს არ უტოვებდა. MERCYFUL FATE-ს დაშლის შემდეგ დაიმონდს ჰქონდა საშუალება, შეეცვალა თავისი იმიჯი, მაგრამ მან ძველი გზა აირჩია: მისტიკა, ოკულტიზმი შერწყმული ვირტუოზულ ჰარდროკთან და სპიდ მეტალთან და თავისი არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭი და პოეტური გენია გაცილებით უფრო აშკარად გამოაჩინა სოლო კარიერაში.

კინგ დაიმონდის (ნამდვილი სახელი კიმ ბენგსტონი) პირველი ალბომი "FATAL PORTRAIT" ახალს და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავდა, ის თითქოს MERCUFUL-ის გაგრძელება თუ გამეორება იყო. სამაგიეროდ, 87 წელს გამოსული მეორე ალბომი "ABIGAIL" უკვე ძალზე ეფექტური, ორიგინალური და შიშისმომგვრელი გამოვიდა. სწორედ აქედან შეიძლება დაიწყოს "დაიმონდის ფენომენის" ანალიზი. "ABIGAIL"-ი წარმოადგენს საშინელებისა და იმედის შერწყმის უცნაურ მაგალითს.

ექვსი კვირა დაჭირდა ალბომის ჩაწერას. ექვსი კვირის განმავლობაში კოპენჰაგენის SOUNDTRACK STUDIO-ში მხოლოდ გვიან ღამით წყდებოდა მუშაობა. ასე დაიბადა ისტორია შვიდი წლის გოგონაზე, რომელიც მოკვდა 1777 წლის მეშვიდე თვის შვიდ რიცხვში. ალბომის იდეა საბოლოოდ სასაფლაოზე ჩამოყალიბდა, სადაც დაიმონდმა რეალური საფლავის ქვა ნახა ზუსტად ამგვარი თარიღით.

ზემოხსენებული გოგონა პრაქტიკულად საშინელებათა პოემის პერსონაჟი არ არის, მის ნაცვლად ალბომში ორი სხვა მოქმედი პირია, მარიამი და ჯონათანი, რომელთა ირგვლივ მომხდარი ამბავი შეადგენს მუსიკალური შემოქმედების მთავარ ძარღვს.

"ABIGAIL"-ი შეიძლება ჩაითვალოს საშინელებათა ფილმების აკუსტიკურ ვარიანტად. ის გაცილებით უფრო მძიმე და სრულყოფილია, ვიდრე მისი წინამორბედი "FATAL PORTRAIT"-ი. გიტარის ენერგიული რიფები ერთვის მოჩვენებასავით გამჭვირვალე ქორალებს, ულტრაბგერაში გარდამავალი კლავიშები, ბასგიტარის უწყვეტი არპეჯიო და ყველაფერი ეს სისტემაში მოყავს დაიმონდის [illegible] დისონანსურ ვოკალს - ეს არის იმ უცნაური პალიტრის ზუსტი ანაბეჭდი, რომლითაც მუშაობს მუსიკოსი. ამასთანავე, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ აუდიო ხაზის ექსპერიმენტებით, მას არ აკმაყოფილებს ერთ სიბრტყეში მოქმედება, მისი მიზანია მრავალგანზომილებიანი სამყარო. სრულყოფილ მუსიკას ახლავს შესაშური ლირიზმით გამოხატული საშინელი ისტორიები. ტექსტების ემოციურ ფონზე საგრძნობი გავლენა იქონია ედგარ პოსა და სტივენ კინგის მოთხრობებმა. დაიმონდის შემოქმედების არებითი ელემენტი არის შიში. ალბომ "THEM"-ის (88) ერთ-ერთ პერსონაჟი ამბობს: "მე ისეთი შეშინებული ვარ, რომ შეუცნობადი გავხდი".

"THEM" ("ისინი") მომდევნო, ისევ კონცეპტუალური ალბომია ისევ ბავშვი, ამჯერად ბიჭი, რომელსაც აბრალებენ მისი დის და ბებიის მკვლელობას.

დამნაშავეა თუ არა ბიჭი? პასუხი ჯერ არ ჩანს... მაგრამ "ისინი"? ეს ისინი არიან, ვინც ჩვენს აზროვნებას მართავს, ამბობს დაიმონდი. მაგრამ მაინც, უფრო ზუსტად, ვინ არიან "ისინი"? პასუხი კვლავ არ ჩანს...

ალბომს ფაქტიურად ტექსტობრივი ანალოგი არ გააჩნია, ის იდეალურობამდეა მიყვანილი.

დაიმონდს ხშირად ბრალს დებენ ათასნაირ ცოდვებში, რასაც თან სდევს მისი შოუს ბანალური ცენზურა: 88 წელს დასავლეთ გერმანიაში გასტროლების დროს კონცერტებზე მხოლოდ 18 წელზე უფროსი ასაკის მაყურებლებს უშვებდნენ. (ამგვარივე ცენზურა იყო ელის კუპერის შოუზეც)! "ეს ხომ სისულელეა, - ამბობს დაიმონდი, - მაშინ გაყიდვიდან უნდა ამოიღონ სტივენ კინგის, ჯეიმს ჰერბერტის და სხვათა ნაწარმოებები! შეიძლება ცენზურა ფიქრობს, რომ ჰევი მეტალ მუსიკოსები ვერ ანსხვავებენ ცხოვრებასა და თეატრს?!"

"CONSPIRACY" (89) დაიმონდის ისტორიაში ის ალბომი გახდა, რომელმაც საბოლოოდ დაუმკვიდრა სახელი როკის ისტორიაში. ახალი ნამუშევარი სამ თვეში პლატინის გახდა. ალბომი წინა ორის გაგრძელებას წარმოადგენს. მასში არის მოცემული იმ კითხვების პასუხები, რომლებიც წინა ნამუშევრებში გაჩნდა: დამნაშავეა თუ არა ბიჭი და ვინ არიან "ისინი"!

ყველა კომპოზიციებში ისევ ძველი ნაცნობები გვხვდებიან: მარიამი და ჯონათანი, ბიჭი, მისი ბებია, [illegible] თორნი - ყველა ისინი იცვლიან სახელებს, ითქვიფებიან ერთმანეთში და მხოლოდ ზოგჯერ იღებენ თავიანთ ნამდვილ სახეს... მაგრამ "ისინი"! ვინ არიან "ისინი"? ჩვენ! ყოველი ჩვენგანი ხანდახან ხდება "მათი" შემადგენელი ნაწილი, ზოგი ცოტა ხნით, ზოგი სამუდამოდ... დღეს შენ "შენ" ხარ, ხვალ თუ შენი საქმიანობა შენი გონების საზღვრებს გადავა, ან ამ საზღვრებს საერთოდ გაანადგურებს, შენ გახდები "მათი" ლეგიონის წევრი და დაიწყებ ბოროტების კეთებას სინდისის ქეჯნის გარეშე...

დამნაშავეა თუ არა ბიჭი? თანდათან ირკვევა, რომ ეს ბიჭი თვით კინგ დაიმონდია! ნაწარმოების რეალურობა ისეთი შთამბეჭდავია, რომ დანიაში თითქმის საქმეც კი აღიძრა დაიმონდის ბებიის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ამ ალბომს ერთი ნაკლიც აქვს: კონცერტებზე შეუძლებელია მისი ცალკეული სიმღერების შესრულება, ალბომი ერთ მთლიანს წარმოადგენს და დანაწევრებას არ ექვემდებარება. კონცეპტუალიზმმა თავის პიკს მიაღწია. მის იქით მხოლოდ ალმოდებული კუბოა!

შემდგომი ნაწარმოები იყო "THE EYE" (90) როგორც მოსალოდნელია, დაიმონდი ჩამოცილდა ძველ თემატიკას და ახალს მიაგნო. ამჯერად ის მღერის ესპანურ ინკვიზიციაზე, ინკვიზიტორ კათოლიკე მღვდლებზე, რომლებიც სინამდვილეში ერეტიკოსები, სატანის მსახურები არიან და მალულად შავ მესებს აწყობენ, ხალხის დასანახავად კი ჯადოქრობაში ბრალის დასდებენ უდანაშაულო კათოლიკებს და ცეცხლზე წვავენ. მორიგი კონცეპტუალური ალბომი. ახალი თემა, გენიალური მუსიკა და კვლავ პრობლემები ცენზურასთან: დაიმონდს ისევ სატანისტობას აბრალებენ: "დაარქვით ამას რაც გინდათ, - ამბობს მუსიკოსი, - სანამ ადამიანი ცოცხალია, მას ყოველთვის დაინტერესებს საიდუმლოება. მიიზიდავს გაუცნობიერებელი, ოკულტური. ზოგისთვის ეს "სატანიზმია", მე კი ვფიქრობ, რომ ადამიანის ფსიქიკის პრობლემებთან ვარ დაკავშირებული!"

ამ ალბომის შემდეგ ხანმოკლე შესვენების პერიოდი დადგა. მაგრამ ეს "შესვენება" ძალზედ დატვირთული იყო: დაიმონდმა აღადგინა MERCYFUL FATE და გამოუშვა რამდენიმე ალბომი ჯგუფთან ერთად, ამასთანავე, დაარღვია ძველი კონტრაქტი ROADRUNNER RECORDS-თან, გადავიდა ამერიკაში და დადო ახალი ხელშეკრულება MAJOR - ლეიბლთან. მან არ შეუწყვეტია სოლო კარიერა, აიყვანა ახალი მუსიკოსები და გამოუშვა ალბომი "THE SPIDERS LULLABY". ეს აღარ გახლავთ კონცეპტუალური ნაშრომი. "მე ახლა ვწერ წიგნს, რომელიც ეძღვნება "THEM" და "CONSPIRACY"-ს იდეებს, ასე რომ, კმარა ჩემგან კონცეფციები", - ამბობს თვით დაიმონდი. მაგრამ ახალ ნაშრომში არის სამი კომპოზიცია, რომლებსაც ერთი საერთო თემა აქვთ, თავისებური ტრილოგია. დანარჩენი სიმღერები კი აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან. "ალბომი დასახელებულია ტრილოგიის პირველი კომპოზიციის მიხედვით. ეს ჩემთვის არაა ჩვეულებრივი სიმღერა; ის იწყება კლასიკური HORROR-შესავლით - კლავესინი, ვიოლონჩელი და ვიოლინო. შემდეგ შედარებით ნორმალურ ტრეკში გადადის, ოღონდ... ამ სიმღერაში არაა ბასგიტარა, და ამის მეშვეობით იქმნება უნიკალური, რაღაც საშინელი განწყობა, პირადად ჩემთვის აქამდე უცნობი".

ეს ტრილოგია მოგვითხრობს ბიჭზე, რომელსაც სიგიჟემდე ეშინია ობობების, მიუხედავად მათი ზომისა. დროთა განმავლობაში შიში ბიჭს ფსიქიკურ ავადმყოფობამდე მიიყვანს და მაშინ ჩნდება ახალი პერსონაჟი - ექიმი ისტმანი, რომელიც შეისწავლის და მკურნალობს ზუსტად ამგვარ პრობლემებს. საავადმყოფოში ექიმს შემუშავებული აქვს მკურნალობის თავისი საკუთარი სისტემა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს რუსული ანდაზით "ÊËÈÍ ÊËÈÍÎÌ ÂÛØÈÁÀÞÒÑß". ავადმყოფ ბიჭს ჩაკეტავენ ოთახში და დააყრიან ობობებს... მათ შორის აღმოჩნდება ერთი სახეობა, რომელიც კვერცხს ადამიანის სხეულში დებს! და ღამით ბიჭის კისრიდან მოძვრებიან პატარა ობობები...

ამ ისტორიის დასასრული ტრილოგიის მესამე სიმღერაშია "ROOM # 17", და ჯობია თვითონ მოისმინოთ, თუ რითი დამთავრდება ამბავი. თავად დაიმონდი კი თავის შემოქმედებას ასე აფასებს: "მე არა მგონია, რომ ეს სატანიზმია. პრობლემა ისაა, რომ ხალხმა არ იცის, რა არის სატანიზმი. შეიძლება ჩემს სიმღერებს სატანისტური დატვირთვა, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი უფრო ოკულტური ხასიათის არიან. ესაა ფიქრი იმაზე, თუ რა იქნება სიცოცხლის შემდეგ. ეს არის სიზმრების ხასიათში გარკვევის ცდა. მე არ ვგულისხმობ "THE SPIDERS LULLABY"-ს, ეს უბრალოდ კოშმარია!"

რა თქმა უნდა, ისტორია ამ კოშმარით არ დამთავრებულა. 96 წელს გამოვიდა დაიმონდის ახალი ნამუშევარი "THE GRAVEYARD" (თითქმის ამავდროულად გამოვიდა MERCYFUL FATE-ის ახალი ალბომიც "INTO THE UNKNOWN"), რომელშიც ის კვლავ კონცეპტუალიზმს უბრუნდება. ისევ პატარა გოგონა LUCY და მის თავს დამტყდარი უბედურება, რომელშიც, რა თქმა უნდა, დამნაშავე კინგ დაიმონდია... ახალ სიუჟეტში პრობლემა შედარებით მატერიალიზებულია, თუმცა ამით ის უფრო მარტივი არ ხდება, მით უმეტეს, რომ მას ერთვის შიშის, მოულოდნელობის, დაბნეულობისა და მკვლელობის მიერ გაძლიერებული დეპრესია თანმხლები გაქრობის გრძნობით და ავადმყოფური წარმოსახვებით. ალბომი სავსეა დაიმონდისათვის დამახასიათებელი ორანჟირებებით, შიშისმომგვრელი ინტროებით, დომინირებადი კლავიშებით და ვიოლინოთი; და რა თქმა უნდა ვოკალის ვარიაბელური პარტიებით, რომელიც თავის მაქსიმუმს "SLEEP TIGHT LITTLE BABY"-ში აღწევს.

"წიგნი, რომელშიც მე "CONSPIRACY"-ს და "THEM"-ის იდეების გაღრმავებას ვაპირებ, სამწუხაროდ ჯერ არ დამიმთავრებია. ამჯერად მე ვაპირებ რომელიმე კინოკომპანიის საშუალებით ჩემი ალბომების იდეების ეკრანიზაციას..." არ ვიცი, რამდენად გაუმართლებს დაიმონდს კინემატოგრაფიაში, მაგრამ მუსიკაში რომ მას ბედი და ალღო არ ღალატობს, ფაქტია.

---

ამერიკულ კონცერტებს ხსნიდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი METALLICA. იმავე წლის ივნისში ჰოლანდიაში ARDSHOCK - ფესტივალზე ჰედლაინერად გამოვიდა. ამ ფესტივალზე გამოვიდნენ RAVEN, VANDENBERG, MERCYFUL FATE, TRANCE და სხვები. "თავდაპირველად ტურნეში დაკვრა ჩემთვის დიდი წვალება იყო. იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ დავიწყეთ, სხვა სპიდ-მეტალ ჯგუფები არ იყო და ვერავისგან ვისწავლიდი რამეს... შოუს შემდეგ ჩემი ხელფეხი აღარ მემორჩილებოდა," - ამბობს აბადონი. პრაქტიკულად მას თვითონ მოუხდა სპიდ-მეტალ რიტმების მოგონება და მათი შემდგომი განვითარება. ARDSHOCK-ზე გამოსვლას მოჰყვა ევროპული ტურნე და რამდენიმე დიდი კონცერტი ინგლისში, მაგრამ მათ სამშობლოში ნამდვილი დიდი ტურნე მხოლოდ 84 წელს, ალბომ "AT WAR WITH SATAN"-ის გამოსვლის შემდეგ დაიწყო, რომელშიც VENOM-ს SLAYER-ი და EXODUS-ი დაყვებოდნენ. ამ ტურნეს ცოცხალი ვიდეოჩანაწერი გამოვიდა იმავე წლის ბოლოს. ამავე პერიოდში შეიქმნა მასალა შემდეგი ალბომისათვის "POSSESSED", (85), რომელსაც მოყვა გიგანტური ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში, იაპონიაში, ევროპასა და ბოლოს ბრიტანეთში. ნიუ-იორკისა და ლონდონის კონცერტის ჩანაწერებით გამოიცა ორმაგი საკონცერტო ალბომი "EINE KLEINE NACHTMUSIK". VENOM-ის კონცერტების მუდმივი ატრიბუტი იყო პიროტექნიკა, მაგნიუმის აფეთქებები, ცეცხლის გიგანტური სვეტები და ლაზერები.

ამ პერიოდში დაიწყო განხეთქილება ჯგუფის წევრებს შორის. "კრონოსი თვლიდა, რომ ის ვარსკვლავი იყო, ხოლო ჩვენ კი არა" - ამბობს აბადონი. ეს ბზარი თანდათან გაიზარდა და დამთავრდა იმით, რომ კრონოსს მოუხდა ჯგუფის დატოვება. VENOM-მა კი იპოვა მისი შემცვლელი, DEMOLITION MAN და განახლებული სისხლით გააგრძელა მოღვაწეობა. "PRIME EVIL" (89) მათ შემოქმედებაში ახალი სიტყვაა, სადაც DEMOLITION MAN-ის დიდი გავლენა იგრძნობა. 90 წლის ტურნესათვის ვენომმა აიყვანა მეორე გიტარისტი AL BURNS, რომელმაც ჯგუფის ცოცხალი საუნდი კიდევ უფრო დაამძიმა. ეს ტურნეც ვიდეოალბომის სახით გამოიცა. 91 წელს უკვე ოთხეულმა ჩაწერა ალბომი "TEMPLES OF ICE", რომელიც ტრეშის ახალი, ინტელექტუალური მხარის და ძველი ვენომის ნაზავია. ალბომში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბას გიტარის გენიალური მელოდიები.



ამის შემდეგ VENOM-მა შეაჩერა აქტიური მუშაობა. გამოვიდა რამდენიმე კრებული, ახლიდან დაკრული ძველი ჰიტები, ალბომი "THE WASTELAND". ABADDON-მა ჯგუფის ძველ მენეჯერთან, ERIC COOK-თან შექმნა ლეიბლი BLEEDING HEART RECORDS და უამრავ ახალ ჯგუფებს უკვალავს გზას მეტალის ჯუნგლებში. აქტიურად თანამშრომლობს მრავალ კოლექტივთან (SKYCLAD, ANATHEMA, UNLEASHED). MANTAS-ი ასწავლის აღმოსავლურ ორთაბრძოლების ხელოვნებას. 94 წელს გამოდის კრებული "A TRIBUTE TO VENOM", რომელშიც ამ ლეგენდარული ჯგუფის ჰიტებს ასრულებენ მეტალ-სცენის ცნობილი წარმომადგენლები: KREATOR, SODOM, ANATHEMA, VOIVOD, SKYCLAD, PARADISE LOST, NUCLEAR ASSAULT, MESSIAH MARCOLIN, ორი ტრეკის ინდასტრიალ-რემიქსს თვით VENOM-ი და მცირეტირაჟიან [illegible] FORBIDDEN და KILLERS-ი. 95 წელს VENOM-ი მიწვეულ იქნა DYNAMO OPEN AIR ფესტივალზე ჰედლაინერად, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს გამოსვლა არ შედგა, სამაგიეროდ, იმავე ფესტივალზე ერთი წლის შემდეგ ჰედლაინერად ვენომის კლასიკური შემადგენლობა წარსდგა მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე და ისეთი ამბავი დაატრიალა, მანამდე არავის რომ არ უნახავს: გიგანტურ სცენაზე ყველაფერი ფეთქდებოდა, იწვოდა და ინგრეოდა, ულტრათანამედროვე ლაზერული ტექნიკა ცას ხვრავდა, მათ შორის კი მრავალფერი ფეიერვერკი ანათებდა მიდამოს. ეს როკის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული შოუ იყო და საბედნიეროდ, მისი ცოცხალი ჩანაწერი ვიდეო და აუდიო-მეტრაჟით გამოიცა. 90-იანების შუაში ჯგუფის ასეთ წარმატებაზე ABADDON-ი ასეთი აზრისაა: "ხალხმა გაიგო, რა არის SEPULTURA, SLAYER, PANTERA და ახლა ის აინტერესებთ, თუ საიდან წამოვიდა ეს მუსიკა, ბოლოსდაბოლოს, სად იყვნენ ისინი, როდესაც VENOM-ი უკრავდა!.. მახსოვს, ჩვენი კარიერის დასაწყისში RAVEN-ის წევრებმა მომცეს METALLICA-ს დემო ჩანაწერი და მითხრეს, რომ ისინი VENOM-ის ფანები იყვნენ. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩვენი სახელი ნიუკასლის ფარგლებში იყო გამომწყვდეული, თურმე ოკეანის გადაღმა ფანები გვყოლია, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. როდესაც პირველი ტურნე ჩავატარეთ ამერიკაში, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს ჩანაწერებს კოლეჯის რადიოებიც კი ატრიალებდნენ"...

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, აბადონმა განაცხადა, რომ მათ აქვთ მასალა ახალი ალბომისათვის და უახლოეს მომავალში მის ჩაწერას დაიწყებენ. მაგრამ როდის გამოვა ეს ჩანაწერი, ჯერ არავინ იცის...

გვერდები მოამზადა მიშა ჩხაიძემ

# OASIS

## მაღალი მთიდან მომავალი თოვლის ბურთი, რომლის გაჩერებას შეუძლებელია

**ვერავინ შეეკამათება მათ და ვერ ალუდგება ნინ - ბოლო სამი წლის განმავლობაში OASIS- მა და მათმა შეურიგებელმა მეგობარ-მოწინააღმდეგემ BLUR- მა ახალი სიცოცხლე შთაბერეს როკენროლს**











OASIS- ს ადარებენ ბითლზებს, მათ გადმოიღეს თავისი კუმირებისაგან ჩაცმისა და მუსიკის სტილი. "ჩვენ რომ დაგვეკრა 1965 წელს, ახლა ილაპარაკებდნენ არა BEATLES- ზე ან ROLLING STONES- ზე, არამედ OASIS- ზე. მე ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ",- აცხადებს ვოკალისტი, ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წევრი ლაიემ გალაჰერი.

მომღერალი ლაიემი (25 წლის) და გიტარისტი ნოელი (29 წლის) გალაჰერები ინგლისის ინდუსტრიული ქალაქიდან - მანჩესტერიდან არიან და თავისი ჯგუფით OASIS - პოპ-სცენა თავდაყირა დააყენეს.

მანჩესტერი არის ნაცრისფერი, წვიმიანი ქალაქი შუაგულ ინგლისში და, ლაიემის აზრით, შესაბამისად, იქ მცხოვრებნიც დეპრესირებულნი არიან. მანჩესტერიდან არიან TAKE THAT- ის წევრებიც, რომლებმაც ქალაქი ცნობილი გახადეს; "მაგრამ ეხლა ჩვენ ვართ მეფეები",- ამბობს ლაიემი. "ჩვენ ვცხოვრობდით მშობლებთან ერთად უბრალო, სტანდარტულ სახლში, მუშათა კვარტალში. ეს არის უხეში უბანი, სადაც დღესაც ძალიან ბევრია უმუშევარი და ხშირად აქვს ადგილი კრიმინალურ დანაშაულებს. ჩვენს ბავშვობაში ქუჩაში ბატონობდნენ ახალგაზრდული ბანდები, როგორც ეს ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკშია. მუდმივად იყო ჩხუბები და დედაჩემს ეშინოდა ჩვენს გამო. მე ვცხოვრობდი ერთ ოთახში ლაიემთან ერთად და ოთახის კედლებზე ვჯღაბნიდით სულელურ გამონათქვამებს და ბითლზის სიმღერების სათაურებს",- იხსენებს ბავშვობას ნოელი.

> როკ-ჯგუფში სიმღერა აშკარად უკეთესია, ვიდრე საამქროში კონვეიერთან დგომა

გალაჰერების ოჯახის წევრება დედა (პეგი) და ძმები: ნოელი, ლაიემი და პოლი. მამისაგან (ტომი, წარმოშობით ირლანდიელი) მათ მხოლოდ გვარი შემორჩათ. მან ოჯახი მიატოვა 1986 წელს და ფულიც კი არ გადაუხდია ცოლ-შვილის სარჩენად, რასაც ვაჟები დღემდე ვერ პატიობენ. ერთადერთი კარგი, რაც ნოელს მამისაგან ახსოვს, ეს არის გიტარზე დაკვრის გაკვეთილები. ერთ-ერთ კონცერტზე დუბლინში ტომმა სცადა შვილებთან კონტაქტის დამყარება, მაგრამ ლაიემმა, როდესაც იგი სასტუმროში დაინახა, კინაღამ დაახრჩო. ბიჭებს ძალიან უყვართ დედა, რომელიც ამაყობს შვილებით და ხშირად დაყვება ნოელსა და ლაიემს კონცერტებზე.

"როკ-ჯგუფში სიმღერა აშკარად უკეთესია, ვიდრე საამქროში კონვეიერთან დგომა და ლითონის რომელიმე ნაწილის ჩარხვა, მაგრამ ჩემი კარიერა, არავითარ შემთხვევაში, წინასწარ არ დამიგეგმია. მე ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვცდილობ დავტკბე ცხოვრებით, მაგრამ, ამავე დროს! ძალიან ხშირად, დაძაბულად ვმუშაობ",- ამბობს ლაიემი. მისი ძმა ზრუნავს ჯგუფის საქმიან მხარეზე და წერს სიმღერებს. "წარმატებას ძალით ვერ მოიყვან, იგი ან არის, ან არ არის",- თვლის ნოელი. OASIS სარგებლობს გასაცვიფრებელი პოპულარობით ატლანტიკის ორივე მხარეს, ძმები გალაჰერები კი პრეტენზიას აცხადებენ როკენროლის ნამდვილი გმირების როლზე და აგრძელებენ ROLLING STONES-ისა და SEX PISTOLS-ის მიერ დაწყებულ ტრადიციებს, შეშლილი ქცევებისა და სკანდალური ინტერვიუების სახით. ამას ამტკიცებს ის, რომ ნაციონალური მუსიკალური პრემიების დაჯილდოების ცერემონიალზე - BRIT AWARD ( სადაც OASIS-მა მიიღო სამი მთავარი პრიზი) ლაიემმა გამოაცხადა, რომ ყველა ეს ჯილდო არაფრად არ ღირს, რადგან ის გადაეცემა "მუსიკალური ინდუსტრიის მსუქანი, ქონიანი, გაბღენძილი" წარმომადგენლების გადაწყვეტილებით.

> მე და ნოელი არც ვმალავთ, რომ სისტემატურად ვსუნთქავთ კოკაინს.

გალაჰერები საზოგადოებაშიც კი არ ინდობენ ერთმანეთს: ერთ-ერთ ინტერვიუში ლაიემმა განაცხადა, რომ მისი ძმა ნოელი, მთელი ცხოვრება, იტანჯება მუცლის შეკრულობით. "ალბათ, სიმღერა ერთადერთი იოლი საშუალებაა მისთვის გააკეთოს ის, რასაც ასეთი გაჭირვებით ახერხებს საპირფარეშოში",- ივარაუდა მან. ერთხელ კი ჭამ ისინი კინაღამ ციხემდე მიიყვანა. ნოელი გამოტყდა, რომ ახალგაზრდობაში ძმასთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად იპარავდა მანქანებიდან მაგნიტოფონებს, ალებდა ცარიელ სახლებს და ეტორღიალებოდა ქუჩაში გოგოებს. ბრიტანეთის პოლიციამ ეს ხიტჭვები უპასუხოდ არ დატოვა და მთელი სერიოზულობით შეუდგა OASIS- ის მუსიკოსების კრიმინალური წარსულის გამოძიებას. პრინციპში, OASIS- ის წევრები ახლანდელ დროშიც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული კეთილშობილებით. ჯგუფის ყოფილი მენეჯერის მტკიცებით, ლაიემი და ნოელი, მხოლოდ კოკაინის საყიდლად, კვირაში 6000 დოლარს ხარჯავენ. "მე და ნოელი არც ვმალავთ, რომ სისტემატურად ვსუნთქავთ კოკაინს. ეს ჩვენ, უბრალოდ, კარგ განწყობილებას გვანიჭებს, მაგრამ ჩვენ კოკაინზე არ ვართ დამოკიდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ საღამოს სცენაზე ვერ დავდგებოდით და სიმღერებს ცოცხლად ვერ შევასრულებდით",- ამბობს ლაიემი. ნოელი კი მოუწოდებს ბავშვებს "ნუ აიღებთ ჩვენგან მაგალითს, ჩვენ არ ვართ სამაგალითონი. ნარკოტიკები დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ ეს არ შეიძლება მცირეწლოვნებისათვის". შესაძლებელია, როკენროლის ახლანდელი გმირები არ აძლევენ მოზარდ თაობას კარგ მაგალითს, მაგრამ ბრიტანელი მეცნიერები თვლიან, რომ OASIS- ის მუსიკის მოსმენა ზრდის ბავშვებში ინტელექტუალურ პოტენციალსა და შრომისუნარიანობას.

OASIS- ს უდიდესი პოპულარობა მოუტანეს ალბომებმა: " PEFIINITEX MAYBE " და "WHATTS THE STORY MORNING GLORY? " ამ უკანასკნელმა გამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ მოიპოვა უკვდავება, ხოლო სინგლი "WANDERWALL " მოექცა ბრიტანეთის ჰიტ-პარადების მწვერვალზე. მიუხედავად ამისა ჯგუფის ლიდერები წყნარად უყურებენ თავის პოპულარობას, ისინი კვლავ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობენ და მიირთმევენ ლონდონის ჩვეულებრივ, საშუალო დონის სასადილოებში.

ლაიემს მოსწონს აჟიოტაჟი მის გარშემო და სიამოვნებს, როდესაც მას ცნობენ.

ნოელი კი ყველაფერ ამას სხვაგვარად უყურებს და არც აინტერესებს. იგი თვლის, რომ მისი პოპულარობა თავისი "მუსიკალური ნიჭის" საშუალებით მოიპოვა. "მე მინდა ჩემი მუსიკით დაუვიწყარი დავრჩე, როგორც ბითლზი სიმღერით "YESTERDAY" ეს სიმღერა დღესაც, შექმნიდან 30 წლის შემდეგ, ძალიან ხშირად ისმის რადიოში.

> ახლა ჩვენ ვართ მეფეები

გალაჰერების პირადი ცხოვრებაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. 12 წლის ლაიემმა ხმამაღლა განაცხადა, რომ შეიძულებდა ყველა გოგოს, მაგრამ 14 წლის ასაკში მან დაკარგა "სიწმინდე" და ყველაფერი შეიცვალა. დღესდღეისობით იგი არის PATSY KENSIS- თან ერთად, რომელიც დაქორწინებულია მომღერალ UIM KERR- ზე (რომლისგანაც მას ერთი შვილი ჰყავს). არავინ იცის, რა მოხდება მომავალში, რადგან ლაიემი და ფეთხი ძალიან ხშირად ჩხუბობენ.

ნოელს კი, ორ წელზე მეტია, მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს MEG MATTHEWS- თან, რომელიც მუშაობს მათ ჩამწერ ფირმაში (ფირფიტების ფირმა CREATION RECORDS). "ჩვენ ვეძებთ ლონდონის სამხრეთით მშვენიერ სახლს ბაღით. შვილების ყოლას ჯერჯერობით არ ვაპირებთ",- ამბობს ნოელი.

ძმების ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ გატაცებას ფეხბურთი წარმოადგენს. ისინი თავად იშვიათად თამაშობენ, მაგრამ "მანჩესტერ-სითი"-ს დიდი გულშემატკივრები არიან და უნდათ მისი დაფინანსება. სტადიონზე არის OASIS-ის დაწესებულება, სადაც, თამაშის შემდეგ, ხალხს შეუძლია ლუდის დალევა. კიდევ მათ უნდათ, რომ მოთამაშეთა მაისურებზე ეწეროს "OASIS ", თუმცა იციან, რომ ამის გამო, ფირმასთან, რომელთანაც მუშაობენ, ექნებათ პატარა იურიდიული პრობლემა.

OASIS- ს რომ უდიდესი მომავალი ექნება, თითქმის ეჭვს არ იწვევს, თუმცა ლაიემს საერთოდ არ აინტერესებს მომავალი და ცხოვრობს დღევანდელი დღით, რადგან არ იცის, რა მოხდება ხვალ ან ერთი წლის შემდეგ. "მსოფლიო იცვლება გიჟური სიჩქარით, რისაც ძალიან მეშინია",- ამბობს იგი.

ნოელი კი დარწმუნებულია, რომ მომავალში იგი OASIS- ის უამრავი ჰიტებით მსოფლიოს შემოივლის და მთელი დამაჯერებლობით აცხადებს: "ხუთი წლის შემდეგ OASIS დაიშლება და მე გავაგრძელებ სოლოს. მე შემიძლია გიტარაზე დაკვრა, საკმაოდ კარგი სიმღერების დაწერა და მათი შესრულება. OASIS იქნება ერთადერთი ჯგუფი, სადაც მე ჩემს ცხოვრებაში დამიკვრია და დავუკრავ".

> მე ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვცდილობ, დავტკბე ცხოვრებით

*ვუსურვოთ OASIS-ს წარმატებები და ვნახოთ, რას მოუტანს მათ მომავალი.*

**ანა ბოქოლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

FAN club

# „პოპ-მექანიკა“ – აზროვნების წესი

ტეხნო – ახალი რიტუალური მუსიკაა, ისევე როგორც "პოპ-მექანიკა". მნიშვნელობა არა აქვს რას შეასრულებს ფოლკლორული ანსამბლი, მთავარია მკვეთრად გამოხატული სიმბოლო, ნიშანი. რუსული იქნება თუ ტიბეტური, უნდა მოხდეს ფოლკლორის შეგრძნება. "პოპ-მექანიკა" აზროვნების წესია და არა ჯგუფი. ყველაფერს რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ "პოპ-მექანიკის" პრინციპით. ეს ჩემი ორგანიკაა. "პოპ-მექანიკა" იდუმალი ღმერთებისადმი მიძღვნილი რიტუალია. რელიგიური კულტები და ისტორიული მოვლენებიც შეიძლება "პოპ-მექანიკაში" ჩაერთოს. მთავარია არ ჩავღრმავდეთ მორფოლოგიასა და შინაგან ლოგიკაში.

ყოველი "პოპ-მექანიკა", როგორც კონცერტი, იგებოდა თავისი კანონებით: აუდიტორიის, დარბაზის სომის, ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიხედვით. ყველაფერი ბლოკებისაგან შედგება და ავტომატურად ცვლადია. თუ ვინმე არ არის, მეორის ყოფნით კომპენსირდება. კონცერტამდე ცოტა ხნით ადრე ვადგენდი გეგმას, ვურეკავდი ყველას, ვადგენდი სიას, შემდეგ ამ კარტოთეკიდან ვაკეთებდი პროგრამას. მონაწილეებმა არ იცოდნენ რა მოხდებოდა, რადგან მოქმედების თანმიმდევრობა უცნობი იყო. მე ახლა პაუზის გაკეთება მომწონს.



> ..." პოპ-მექანიკის კონცერტები არასოდეს მეორდება, რადგან სიუჟეტი და დრამატურგია მაყურებლის თვალწინ იქმნება...
>
> (როკ-მუსიკა სსრკ-ში. პოპ-ენციკლოპედია. ს. ტროიცკი).

ადრე ძირითადი ხერხი იყო მრავლის ერთმანეთზე დადება, მეთოდი შევცვალე: ვიღებ რაიმეს სამი-ოთხი სფეროდან და ერთ-ორს ვაგდებ. მაგალითად, ბალეტი სრულ სიჩუმეში. მოცეკვავეები ისე ცეკვავენ, როგორც ყოველთვის, მაგრამ სიჩუმეში – ეს საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან შეუსაბამოა. მოქმედების პრინციპია "ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის ამოღება". პაუზის გაკეთება მთელი მსოფლმხედველობაა. გამოაცხადებს ნომერი, არავინ არ გამოდის, შემდეგ გამოდის ვიღაც, აკეთებს იმას, რაც არ უნდა გააკეთოს და მიდის, ისევ პაუზა, შემდეგ ვიღაცა რაღაცას აკეთებს, რაღაცას ელოდებიან... პაუზების გამოყენება უნდა იცოდე, ეს სასიამოვნოა და მთავარია ბგერაზე მუშაობა. ჩემთვის დიდად არ განირჩევა მაღალი და დაბალი კულტურა, დაკვრის ცოდნა ან არცოდნა, ერთიც და მეორეც ორგანულია. გრეგ გუდმანი დაჯდა როიალთან, მას არ მოუხდენია ევოლუცია ჰაიდნიდან ბეთჰოვენით, ვაგნერით, პროკოფიევით, შოსტაკოვიჩით შტოკ-ჰაუზენამდე; ის გულისხმობდა განვითარების უზარმაზარ შკალას, აგებდა ჯაჭვს, სკოლა ჩანს, სინამდვილეში არავითარი სკოლა არ არის. დაბალსა და მაღალს შორის არ არის განსხვავება – ეს არის ერთიან დროით სივრცეში ევოლუციის სხვადასხვა უბნის შეთანხმება. ევოლუცია რამოდენიმეა და რაღაც მომენტში ისინი შეერთდნენ. "პოპ-მექანიკა" მაშინ შეიქმნა, როცა ხელოვნებისადმი დამოკიდებულება რომანტიული იყო. ყველაფერი უსაზღვროდ სერიოზულად აღიქმებოდა. ჯაზმენებს უაზროდ უყვარდათ ჯაზი.

როკერები მზად იყვნენ როკის გამო ვინმესთვის ყელიც კი გამოეჭრათ. არავითარი თვითირონია. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ყველაფერი ეს ნორმა გახდა. პოსტმოდერნიზმის ძირითადი პრინციპია სიყვარული და სიძულვილი ერთდროულად. პოსტმოდერნიზმის შიშველი სხეულიდან გამოსვლა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მასში შესვლა (ღრმა ვაგინიზმის პრინციპი). თუმცა მრავლისთვის მასში შესვლა ძნელია, რადგან ამისათვის უნდა აღიარო, რომ ყველაფერი რასაც ადრე აკეთებდი, სრული სირობაა. ამიტომ უფრო ადვილია შუა საუკუნეების მუსიკაში გადასვლა, ბაროკო ან უფრო შორეული სფერო, ან აღმოსავლეთი. ეს რეაქციაა პოსტმოდერნისტად გახდომის შეუძლებლობაზე. პოსტმოდერნისტებს უფრო უჭირთ – ინფორმაციული ნაკადი ისე გაიზარდა, რომ არ იყო პოსტმოდერნისტი შეუძლებელია. რეაქცია ასეთია, მაგალითად კინემატოგრაფისტები მიისწრაფიან უბრალო სენტიმენტალური სურათებისადმი, როგორც 50-იან წლებში. შედეგი ძალიან საცოდავია – ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ჩანს ამოცოცების სურვილი და ჩანს, რომ რეზულტატი – რეფლექსიის პროდუქტია და არა ნორმალური, ჯანმრთელი სურვილი ასეთი სურათის გაკეთებისა. საჭიროა

> **სერგეი კურიოხინი:**
>
> დაიბადა 1954 წელს. კომპოზიტორი, რეჟისორი, დირიჟორი, პიანისტი... თანამედროვეობის ერთ-ერთი ორიგინალური და არატრადიციულად მოაზროვნე მუსიკოსი.

ფლობდე გარკვეულ სიგიჟეს, რათა ასეთი რამ გააკეთო. სხვაგვარად ყველგან ხედავ გაუცხოებას. ყველაფერს არაბუნებრიობის ბეჭედი აზის. ასეთი გზით ცდილობენ პოსტმოდერნიზმიდან გამოსვლას. რომანტიკის მაღალი სული აუცილებელია, მაგრამ ის, რასაც რომანტიკად თვლიან – სენტიმენტალიზმია. საჭიროა პეროიკამდე მისული მძლავრი რომანტიული სწრაფვა. ვერ პოულობენ რა თავის ხელოვნებაში, ადამიანები გარეთ გამოდიან და ლიმონოვივით ავტომატს იღებენ. მძლავრი რომანტიული სწრაფვა მოითხოვს თავგანწირვას, რაც მცირედს შეუძლია. ტრაგიკული სიყვარული, ტრაგიკული სიკვდილი – როგორც კი გამოჩნდება რომანტიული გმირი – გამოჩნდება პოსტმოდერნიზმიდან გამოსავალი. სასურველია, რომ ეს რომანტიული გმირი იყოს არაადამიანი, მოუაზრებელი არსება, გამოსირებული ვირტუალური ალტერეგო.

დავიწყოთ თავიდან. კულტურას აღარა აქვს ის მნიშვნელობა, რაც ათი წლის წინ. კულტურის საფუძველია ფოლკლორი, რომელიც ჩვენთან არის და ჩვენ მას კიჩად აღვიქვამთ. ჩვენთვის ეს არ არის ხალხური ხელოვნება. გამოდის თუ არა ანსამბლი ბალალაიკითა და რუსული ხალხური ინსტრუმენტებით – უკვე კიჩია. სხვისი ფოლკლორი ფოლკლორია, საკუთარი ხითხითს იწვევს. ვფიქრობ, ჩვენი კულტურა ეპიგონობისთვისაა განწირული. პანკის გამოჩენისას წარმოდგენილი იყო ჩვენებური პანკი, მაგრამ მოხდა. იგივე იყო ნიუ-ეიჯთან – ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ორ აკორდს ამდენი მოყვარული ეყოლებოდა და ამდენი ხალხი მოუსმენდა, ვიდრე არ ასიმილირდება. დასავლური მუსიკალური მოვლენები ერთი შეხედვით, რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, რუსეთში ხდება. მეორეს მხრივ, ეპიგონობა საჭიროა მაღალი კულტურის რანგში ავიდეს და როცა პირველსაწყისი სახე გადაიქცევა მოუაზრებელ ურჩხულად, იგი ხდება ხელოვნების ახალ ნაწარმოებში გადასული ტოტემი. რადგან რუსული აზროვნება უსიცოცხლოა, რეფლექსიაც ბანალურია – ამის გაგება რამოდენიმე ადამიანს შეუძლია. ამ ადამიანების მიზანი ეპიგონის ძებნაა, რათა ყველაფერი უკანასკნელ ზღვრამდე დავიდეს და მოხდეს ახლის დასაწყისი. თუ შემოქმედს ეს თვითონ არ შეუძლია, საჭიროა ბიძგი, ყოველგვარი ახსნის გარეშე უბრალოდ აიძულო ზღვარზე გადასვლა ან მოისყიდო ფულით. ხელოვნებაში საჭიროა სასტიკი ტოტალიტარული დიქტატი. შემდეგ ხელოვნების პროექცია პოლიტიკაზე – და იქმნება ახალი ტოტალიტარული სახელმწიფო. საკმარისია რამოდენიმე ადამიანის მიზანდასახული ქმედება და ყველაფერი ისე გაიფანტება, რომ შესავსები აღარაფერი დარჩება. დღეს პოლიტიკა ახდენს გავლენას კულტურაზე, მაგრამ თუ კულტურაში მკაცრი რეჟიმი დამყარდება, იგი თანდათან განაგებს პოლიტიკას. ვხურავთ ძველ საზღვრებს, ვადგენთ ახალს. ამ დროისათვის ჩვენ ვკვდებით. შემდეგ – გაურკვეველია. უაზრობაა შეეწინააღმდეგო ორგანიკას. თუ მუსიკოსს ეტყვი, რომ გააკეთე ასე და ეს იქნება ხელოვნება, ის არ დაგიჯერებს. ამიტომ საჭიროა ტყუილი. მხოლოდ ეშმაკობითა და სიცრუით შეიძლება აიძულო აკეთოს. ყიდვა მე არ შემიძლია, ძალისმიერ მეთოდს ვერ გამოვიყენებ, არა მაქვს დათრგუნვის საკმარისად მძლავრი აპარატი, ჯერ მხოლოდ ეშმაკობით ვმოქმედებ. მე აღვწერ მომავალ "პოპ-მექანიკას", მსურს, რომ დარბაზში მყოფთ იცოდნენ რა ხდება. რამდენადაც ორიენტირებული სიურპრიზზე ვარ, ხდება პირიქით: სიურპრიზი ყველასათვის ცნობილია. ყველამ იცის კოსტიუმებზე, ვეფხვზე, სადომაზოხიზმზე. ადამიანებმა უნდა წარმოიდგინონ და სიურპრიზი არ უნდა იყოს ახალი. აქ ხდება შემოწმება იმისა, თუ რამდენად ემნიშვნელოა საშუალება, როცა სიურპრიზი აღარ არის სიურპრიზი. ყოველი ელემენტი დიდხანს მუშავდება, კონცერტის დასაწყისიდან კი უმნიშვნელო ხდება, ისინი უკვე ორგანულია. ეს არის სიურპრიზი, რომელიც აღარ არის სიურპრიზი. იკარგება გათვლილობის შეგრძნება. მთავარია დაფარო შენი საკუთარი ჯვარი.

> ... მუსიკაზე უფრო ხშირად მის ქცევებსა და განსჯებზე ლაპარაკობენ. მან შექმნა ცნობილი პროექტი "პოპ-მექანიკა", ბოლო დროს განერიდა ხმაურიან მოღვაწეობას, მაგრამ წერს მუსიკას და შემოქმედებისა და აზროვნების სხვა საფეხურზე გავიდა, მაშინ როცა 80-90-იანი წლების თანამოაზრეები ისევ იქ დგანან
>
> (MEDVED. 1993.N 3).

**მოამზადა მირანდა ჩარკვიანმა**

# 2PAC SHAKUR

## მე-3-ე მვერდიდან

იცის.



1995 წელს შაქური დაღლილი იყო HIP-HOP-ის თამაშით. ერთხელ თავის მეგობარს – კარენ ლის უთხრა, რომ რეპით დაიღალა და სურს, რომ თავის სიმღერებს უსმინოს რადიოთი და თავისი თავი ნახოს ეკრანზე. ხალხში მკვლელობის შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს 2PAC ცოცხალი იყო და მან მოიგონა თავისი სიკვდილის ამბავი.

2PAC-ის გარდაცვალება უსაზღვრო ტკივილი იყო მისი ფანატებისა და მთელი მუსიკალური საზოგადოებისათვის, თუმცა იგი ხშირად თვითონ უწინასწარმეტყველებდა საკუთარ თავს 30 წლამდე ძალადატანებით სიკვდილს.

შაქურის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა ალბომი "THE DON KILLUMINAT", "MAKAVELI"-ს ფსევდონიმით. ალბომის გარეკანზე გამოსახულია ჯვარზე გაკრული 2PAC, რომელსაც ეკლიანი გვირგვინი ადგას თავზე. იქვე ჩანს მ[illegible]რუქა, რომელზეც განგსტერების არეალებია გამოყოფილი.

> **2PAC-ს მოხვდა 4 ტყვია და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა ლას-ვეგასის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში. იგი მხოლოდ 25 წლის იყო.**

1997 წლის იანვარში გამოვიდა ფილმი "CRIDDOCK'D" (კინოკომპანია GRAMERCY PICTURES), რომელშიც 2PAC ნარკომანის როლს ასრულებს. შაქურის ბოლო ფილმი – "GANG RELATED" ("განგსტერებთან დაკავშირებული") ეკრანებზე 1997 წლის ბოლოსათვის გამოვა.

აღსანიშნავია, რომ DEATH ROW-ს გააჩნია 2PAC-ის უამრავი ჩანაწერი, რომელიც ჯერ არ მოუსმენიათ მის თაყვანისმცემლებს.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში 2PAC-მა მოასწრო გამხდარიყო მისი დროის ძალადობისა და იმედგაცრუების ცოცხალი სიმბოლო, თავისი თაობის კერპი.

**ანა გოთოლიშვილი**

ეროვნული

# «მისტერია»

**«მისტერიის» პირველი გამარჯვება რუსთავში აღიარეს. მერია არის ინიციატივით მოწყობილ მუსიკის ფესტივალზე მათ პირველი ადგილი და პრიზები გადასცეს. შემდეგ კი მათი საკონცერტო გამოსვლები, რომლებიც ტრიუმფალურად მთავრდებოდა, მათი მოულოდნელი ეფექტებისაგან მაყურებელი შოკში იყო.**

... *საშინლად* ცივი იყო სამყარო, მაგრამ ეს იყო ეტაპი კულტურული რევოლუციისა, განსაკუთრებით სენსაციური – პროვინციებისათვის, სადაც ადამიანები სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ ელექტროგიტარებს ქსელში რთავენ, როგორც რადიოს და ამ დროს ისინი ხმამაღლა ჟღერენ.

მე ვფიქრობდი, რომ ჩვენი PIPL-ები (ასე უწოდებდნენ ჰიპები თავიანთ თავებს) ცოტათი განსხვავდებოდნენ დასავლელებისაგან, ჩვენთან ჰიპიზმი ალტერნატიული ხერხი იყო ალტერნატიული კმაყოფილებისათვის.

დასავლეთში თუ რიტმული იმპულსების ცვალებადობა მიდიოდა, რუსეთში ტექსტური რევოლუცია მოხდა. ასე თუ ისე, ორივე ერთად მაინც იყო მუსიკა – როკი.

„ყველაფერი უბრალოდ ხდება, ზღაპრებით გვატყუებენ, ვიღაც შეცდა – შენ თუ მე“ – და ფრაზა, რომელიც მაკარევიჩმა ერთ-ერთ კონცერტზე წაიმღერა (მას რატომღაც პირველ როკ-პოეტად თვლიან რუსეთში) ზოგმა სოციალურ-ესთეტიკურ პრობლემად (!) ჩაუთვალა როკ-კულტურას, უფრო „მგრძნობიარე“ მსმენელმა კი პრიმიტიულად ახსნა: სიმღერა „დაკარგულ სიყვარულზეა“-ო (როგორც ქართველი იტყოდა).

საქართველოში კი მაშინ დაიწყო ყველაფერი, როცა BG-მ როკ-ნ-როლი „მოკლა“. ბევრს ახსოვს 1980 წლის ფესტივალი თბილისში. ქართული ჯგუფებიდან (არ ვიცი, რომელი ან ვისი სიმპათიების გამო) მხოლოდ „ბლიცს“ იხსენებენ, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ მათი მუსიკა „ბითლზის“ მელოდიებს ახსენებდათ (ისინი ფაქტიურად მათ სიმღერებს მღეროდნენ) და მცირედი კავკასიური ელემენტებიც იგრძნობოდა.

... თუმცა „ჯანმრთელი“ როკ-ცენტრიზმი ახალ გამარჯვებას ზეიმობდა, თუ ყველა არა, ბევრი გზა აღმოჩნდა გახსნილი და ფული თუ არა, იყო ბლუზი.

არაფერს ვიტყვი შარშან გამართულ ფესტივალზე „მარგარიტა-96“. ბევრი დაიწერა და არაფერი ითქვა, ნაწილმა გაამართლა, ნაწილმა გაიმარჯვა და ნაწილმა ჭკუა დაგვარიგა. (ან ისინი დაარიგეს).

ჯგუფი „მისტერია“, რომელიც აღნიშნულ ფესტივალზე არ გამოდიოდა, მაგრამ მასისთვის ცნობილია, ექვსი წლის წინ ჩამოყალიბდა და შემთხვევით არ აღმოჩნდა მელომანების ყურადღების ცენტრში. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: გიორგი ჩხიკვიშვილი (ბას გიტარა), დიმა ბერძენიშვილი (კლავიშები), ლევან ჯავახიშვილი (გიტარა), გოგა აბრამოვი (დასარტყამი ინსტრუმენტები. ამერიკაში, ბერკლის სკოლაში განაგრძობს სწავლას) და გია მელიქიშვილი, რომელიც აბრამოვის წასვლის შემდეგ მუწაობდა ჯგუფთან. ზაზა კვანტალიანი (ვოკალი) და გოგიტა ცხოვრებაშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები) რამოდენიმე წელი იყვნენ „მისტერიის“ შემადგენლობაში.



გიორგი ჩხიკვიშვილი და დიმა ბერძენიშვილი არც “ისეთი ქართველები“ აღმოჩნდნენ, როგორსაც ნაწილი მელომანებისა აღნიშნავდა და არც “მოთამაშე ნარკომანები“, რომლებიც თითების კანკალს ამულამებენ და გიტარებს იატაკზე ისვრიან.

გიორგი და დიმა ჯგუფის ლიდერებად ითვლებიან, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ კომპოზიციები ჯგუფის ყველა წევრის ერთობლივი შემოქმედებითი ნამუშევარია.

გ.ჩ.: ჯგუფში არცერთი არ არის პროფესიით მუსიკოსი (ქართველები ხშირად ურევენ პროფესიულ და პროფესიონალ მუსიკოსებს), მაგრამ მე ვთვლი, რომ ამ ეტაპზე ეს ფაქტი ხელს არ გვიშლის. მაქსიმალური მუსიკალური განათლება დიმას აღმოაჩნდა – შვიდწლედი დაამთავრა. მთავარია მუსიკის განცდა, რიტმის გრძნობა და იმპულსი, რომელიც ნებას გვაძლევს „ცრემლების გარეშე ვიტიროთ“. დიმა უფრო დეტალურად ხსნის, უყვარს სიზუსტე. კომპოზიციებში მისი ნახევარტონები დამაჯერებლად ჟღერს. აქ არის ტექნიკური (რიტმული მხარე) და მუსიკალური (ჰარმონიულობა) დატვირთვა, რასაც მუსიკათმცოდნეები ვირტუოზულობას უწოდებენ.

გიორგი და დიმა ბევრი სხვა მუსიკოსივით მორისონზე, ჯოპლინზე, ჰენდრიქსზე და სხვაზე და სხვაზე გაიზარდნენ, მათ დღესაც დიდი სიამოვნებით უსმენენ. დიმა ძველი სიმპათიების გამო დღესაც უსმენს GENESIS-ს და ორივენი ერთად XX საუკუნის კლასიკურ მუსიკას ამულამებენ.

რეჟისორ ბექა ქავთარაძის ნოვატორულმა (და გაბედულმა) იდეამ (აკადემიური თეატრის კონსერვატორულ სცენაზე – როკ-ჯგუფი) წარმატებულად შეახვედრა მუსიკოსები თეატრთან. „მისტერიამ“ მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლი „თოლია“ (ა. ჩეხოვი). კომპოზიციებში ავანგარდული მუსიკის ელემენტები უფრო ჟღერს, ვიდრე ჰარდროკის ტრადიციული რიტმები და აკორდები. მუსიკოსებისა და რეჟისორის ესთეტიკის თანხვედრამ მნიშვნელოვნად განაპირობა სინთეზის ჰარმონიულობა.

„მისტერიის“ ლიდერები ჩვეულებრივებიც არიან და განსხვავებულებიც. დიმას და გიორგის ერთნაირი და გარკვეული პოზიცია აქვთ, არც იმ კატეგორიას ეკუთვნიან, ზოგიერთი ქართველის თქმით, მთელი ცხოვრება რომ წინ აქვთ (TFY), ვერც მატერიალისტური პრობლემებით დაკავებულებს და წუწუნით დაბოლმილებს მიამსგავსებთ. არც ძველი საწამლავი დაუტოვებიათ გულში და მომავლისთვისაც არ აგებენ კოშკებს, მაგრამ ჯგუფმა მაინც შესვენება არჩია.

4/4-იანი პაუზის შემდეგ (რომელიც ამოსუნთქვის დროსაც გვაძლევს) „მისტერიის“ ფანებს სიურპრიზი ელოდებათ.

მაიკო ფოჩხიძე


# ყურადღება!!!

# მუსიკის მოყვარულებო!!!

თქვენს წინაშეა საუკეთესო, ყველაზე მოდური და თანამედროვე, ერთადერთი ქართულენოვანი მუსიკალური გაზეთი, სადაც თქვენ შეხვდებით თქვენს საყვარელ მუსიკოსებს, გაიგებთ უახლეს და უმნიშვნელოვანეს ამბებს.

ყველა ნომერში თქვენ შეგეძლებათ წაიკითხოთ კომპეტენტური და გამოცდილი კორესპონდენტების მიერ მომზადებული მასალები ყველანაირ სტილზე და მიმდინარეობაზე.

შემდეგი ნომრიდან მუსიკალური კონკურსებისა და ვიქტორინების საშუალებით შესაძლებლობა გექნებათ მოიგოთ სხვადასხვა საინტერესო პრიზები:

კასეტები, კომპაქტ დისკები, ვოლკმენები, აუდიომაგნიტოფონები, მუსიკალური ცენტრები და...

გვერწმუნეთ გაზეთ „ფანკლუბთან“ ერთად თქვენ არ მოიწყენთ

გაზეთი მზად არის ითანამშრომლოს ყველასთან ვისაც სურს და შეუძლია ჩვენთან ერთად მუშაობა.

სამუშაოდ ვიწვევთ ენერგიულ და საზრიან ახალგაზრდებს მაღალანაზღაურებიან თანამდებობებზე:

1. კორესპონდენტი.
2. სარეკლამო აგენტი.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ლერმონტოვის ქ. 18,
ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი IV სართული
დარეკეთ: საღამოს 38-51-35 (ირაკლი)



მთავარი რედაქტორი:
ირაკლი ჭეიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
მირანდა ჩარკვიანი, მიშა ჩხაიძე, ანა ბოქოლიშვილი, მაიკო ფოჩხიძე

სარედაქციო საბჭო:
იოსებ მაჭარაშვილი
(თავმჯდომარე)
მამუკა ნეფარიძე
(კომერციული დირექტორი)
მისამართი: ლერმონტოვის ქ. 18,
ლიტერატორთა რესპუბლიკური
ცენტრი IV სართული
ტელ: საღამოს 38-51-35 (ირაკლი)

„ფანკლუბი“-ს რედაქცია გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის:
გიორგი კოკლატაძეს, გიორგი ჩაჩხუნაშვილს, გიორგი ყალაბეგაშვილს, მიშა ფოფხაძეს, რუსიკო თელიას, ქეთინო მადლაშვილს, ამირან მეტრეველს, ირაკლი საკანდელიძეს, გაზეთ „სირაქლემა“-ს რედაქციას და გაზეთ „საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლებს